37/2
946

# ოქტომბრელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1946

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

საბავშვო ყურნალი მცირეწლოვანთათვის

№ 2

თებერვალი 1946 წელიწადი მეთექვსმეტე

# ოქტომბრელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

„Октомбрели" ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 ტელ. 3-81-85

## შინაარსი

| | გვ. |
|---|---|
| სტალინი ბავშვებთან—ნახატი პ. ბლიოტკინისა | 1 |
| დიადი დღესასწაული (წერილი) | 2 |
| მ. ლებანიძე—ძია ბერია (ლექსი)—ნახატი პ. ბლიოტკინისა | 3 |
| ზ. ჭუმბურიძე—წერილი ძია ბერიას (ლექსი) | 4 |
| გ. კაჭახიძე—საქართველო (ლექსი) | 4 |
| საბჭოთა საქართველოს ჰიმნი | 5 |
| ი. პავლიაშვილი—გოგის სიხარული (მოთხრობა) | 6 |
| კ. გოგიაშვილი—ერთი ფული (მოთხრობა)—ნახ. ნ. იანქოშვილისა | 7 |
| ნ. ჩაჩავა—ჩემო ბები (ლექსი) | 7 |
| ნ. ნაკაშიძე—სპილოს წერილი ოქტომბრელებს—ნახ. ფ. ლაპიაშვილისა | 8 |
| ი. ქავჟარაძე—სულწასულობა (მოთხრობა)—ნახ. შ. მაყაშვილისა | 10 |
| ა. თევზაძე—პატარა ჩიორა (ლექსი) ნახ. შ. ცხადაძისა | 11 |
| მ. ლეჟავა—კაგოს დანაშაული (მოთხრობა)—ნახ. ნ. იანქოშვილისა | 12 |
| ცქვიტი—ციალას ფისო (მოთხრობა)—ნახ. ვ. ერისთავისა | 13 |
| გრ. აბაშიძე—ჩინგიზი (ლექსი) | 14 |
| გ. ლალიძე—ობოლი ბაჭია (მოთხრობა)—ნახ. აპ. ავალიანისა | 15 |
| ი. სიხარულიძე—პაწაწინა ლექსები | 15 |
| პ. ჭანიშვილი—ციყვი (წერილი)—ნახ. აპ. ავალიანისა | 16 |
| ვეშაპი (წერილი) | 16 |
| გამოცანები (შედგენილი გრ. ცეცხლაძის მიერ) | გარეკანის მე-3 |
| რებუსი | გარეკანის მე-3 |
| გასართობი: ა) ფანქრის ერთი მოსმით, ბ) თავსატეხი, გ) პასუხები | გარეკანის მე-3 |

ყდაზე: „ბორის ციხესთან"—ნახატი შესრულებულია ლადო გუდიაშვილის მიერ.

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ.-მგ. რედაქტორი), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4183

სტალინი ბავშვებთან

ნახატი პ. ბლიოტკინისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიადი დღესასწაული

ქართველი ხალხი აღნიშნავს თავის დიდ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს.

ოცდახუთი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს მშრომელებმა, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გმირული წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს მენშევიკების მთავრობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის მენშევიკური უღლისაგან განთავისუფლების საქმეში დიდ რუს ხალხს.

1921 წლის 25 თებერვალი ისტორიული თარიღია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ დღიდან დაიწყო მან ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება.

25 წლის მანძილზე აყვავდა და გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველო: აშენდა ასობით ქარხანა და ფაბრიკა, გაშენდა უამრავი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სწრაფად განვითარდა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

საბჭოთა საქართველო მკვიდრი წევრი გახდა დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახისა.

მეოთხედი საუკუნეა, რაც ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობს ქართველი ხალხი. ამ ბედნიერ ცხოვრებას იგი უმადლის სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას და ხალხთა საყვარელ ბელადს იოსებ სტალინს.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საბჭოთა საქართველოს აღორძინების, აყვავებისა და განმტკიცების საქმეში ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის უერთგულეს თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა დიდი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის უბოროტესი მტრების, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების განადგურების საქმეში. სამამულო ომის ფრონტებზე ათასობით ქართველმა ასახელა თავისი სამშობლო ქვეყანა. ქართველი ახალგაზრდობა გმირულად იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. ქართველი ხალხი ზურგში გმირული და თავდადებული შრომით სჭედდა ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

დიდება და დღეგრძელობა საბჭოთა საქართველოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ძია ბერია

გუშინ დედამ საზეიმო
მზადება რომ დაასრულა,
და კედელზე რომ ჰკიდებდა
ყვავილებში ლამაზ სურათს,
ასე მითხრა: მისი საქმით
გულზე შუქი გვფენიაო,
დე იცოდე, და გიყვარდეს
ჩვენი ძია ბერიაო!
მან მოჰფინა სიმღერები
საქართველოს მთა და ბარად.
ბავშვები და ყვავილები
მან ერთმანეთს დააადარა!..
მე თვალები გამიბრწყინდა
და დღეს ფრთები გამიშლია:
ერთი ძია მფრინავი მყავს
და მეორეც ტანკისტია,
მესამე კი... სხვა ვინა მყავს
შენებრ დიდი,—კარგი ძია!

**მურმან ლებანიძე**
ნახატი პ. ბლიოტკინისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წერილი ძია ბერიას

ერთი ბატარა ბიჭი ვარ,
ახლახან გავხდი რვა წლისა,
ძაინც გთხოვთ, რომ ხმის უფლება
მომცეთ ბატარა ემაწვილსა.

ძიავ, მე ჩემთვის არ გთხოვდით,
ვთხოულობ მამის მაგივრად,—
ჩემი ძვირფასი მამიკო
ომში მტრის ტყვიამ განგმირა,

და როცა სხვების მამები
თქვენ მოგიძღვნიან თავის ხმას,—
მათ ხმას ვერ შეუერთდება
მაშინ ხმა ჩემი მამისა.

რაკი საყვარელ მამილოს
შინ მოსვლა აღარ დასცალდა,
მე მოვალ, ძია ლავრენტი,—
ხმას მოგცემთ მამის საცვლადა!

ზურაბ ჭუმბურიძე

---

# საქართველო

წარმტაცია საქართველო--
მისი წყარო, მისი კორდი;
მის ბალებში მწვანე კაბით
გაზაფხული ადრე მოდის.

მიწის ფერით მოხიბლული
მზე ინთება ადრე ცაში, —
წინ ხვდებიან ტოროლები
სიმღერით და ფრთების ტაშით.

ყვავილების სურნელებას
სად არ აფრქვევს სიო ფრთხილი!
მზე ლაჟვარდში დიდხანს რჩება
და შაქრდება ბალში ხილი.

ლამაზია საქართველო
წყაროსავით მომღიმარი.
სიცოცხლეზე მღერის მუდამ
მისი სიო, მისი მტკვარი.

უსახლ-კაროდ არ უვლია,
საიმედო ჰქონდა ბინა.
არასოდეს იგი მხდალი
და მტრის მონა არ ყოფილა.

სასახელო გზებით მავალს
მოყვრისთვისაც კარგი სურდა.—
წარმტაცია საქართველო
და იბრწყინებს იგი მუდამ.

გიორგი ქაჯახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს ჰიმნი

იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ გაუქრობელი;
ქვეყანას მიეც დიდი სტალინი,
ხალხთა მონობის დამამხობელი.

შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო;
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იხარე, ქართველთ მხარეო!

დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა
შენ გაგიხათა მთები ჯაღარა;
სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა,
ფადაგაქცია მბიურ ბალნარად.

მოძმე ერების ოჯახში
დამკვიდრდი, გაიხარეო;
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იხარე, ქართველთ მხარეო!

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა;
დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს
ეფერ სტალინური წრთობის თაობა.

საბჭოთა დროშა დაგნათის,
მზესავით მოელვარეო;
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იხარე, ქართველთ მხარეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგის სიხარული

ამოთხრობა

— დილას ისეთ დროს ავდგეთ, -რომ პირველი ჩვენ მივიდეთ საარჩევნო უბანში და პირველად მივცეთ ხმა ჩვენს სახელოვან დეპუტატობის კანდიდატებს! — სთქვა ერთ საღამოს გოგის მამამ.

— მეც ეს მინდოდა მეთქვა, ოღონდ დილის ძილი არ გაგიტკბეს. — ღიმილით უპასუხა დედამ.

გოგი მშობლების ლაპარაკს გაკვირვებული უსმენდა. ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა კანდიდატებისათვის ხმის მიცემა. ბოლოს ვერმოითმინა და იკითხა:

— მამა, ხმა რომ სხვას მისცეთ, მერე თქვენ როგორღა ილაპარაკებთ?

მშობლებს გაეცინათ.

— ჩემო შვილო, — უთხრა მამამ. — რომ ვამბობთ ხმას მივცემთთქო, ჩვენ ხმას სხვას კი არ დავუტოვებთ. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები — კარგი, ჭკვიანი ადამიანები, და ამ არჩევის უფლებას ქვია ხმის მიცემა.

— ჰოო...ო, — სთქვა დაფიქრებულმა გოგიმ. შემდეგ უცებ წამოიძახა: მერე ვინ უნდა აირჩიოთ!

— ძია ბერია.

გოგის თვალები გაუბრწყინდა. ძია ბერიას სახელი ბევრჯერ გაეგონა და ლექსიც იცოდა მასზე.

— ძია ბერიას ხმას მეც მივცემ, — აღტაცებული ხმით წამოიძახა გოგიმ და მოემზადა ძია ბერიაზე ლექსის წასაკითხად.

მამას გაეცინა.

— შენ, შვილო, ჯერ პატარა ხარ, როცა დიდი გაიზრდები, მაშინ მისცემ ხმას ძია ბერიას.

— მე პატარა არა ვარ. — უკმაყოფილოდ შეიკრა წარბები გოგიმ. — გუშინ შენ რომ ბაბუას სადილად დაუძახე, ვერ გააგონე, მე რომ დავუძახე, გაიგონა. მე დიდი ხმა მაქვს... მე დიდი ვარ.

მამამ და დედამ ერთმანეთს შეხედეს. გოგის ნათქვამზე გაეცინათ და სიყვარულით ხან ერთი იკრავდა მკერდში ბუთხუზა გოგის და ხან მეორე.

იოსებ პაპლიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ერთი ფული

მოთხრობა

პატარა ნუგზარი სკოლიდან ბრუნდებოდა. გზაში ერთი წითელი ფული ნახა, აქეთ-იქით ფრთხილად გაიხედა და ფული ჯიბეში ჩაიდო.

— რა კარგია, რა კარგი!.. რა ვიყიდო? წიგნი თუ ჩანთა? კამფეტი თუ თოფი? — ფიქრობდა იგი და შინისაკენ ღიმილით მიაბიჯებდა.

მალე მოსახვევიდან პატარა გოგონა გამოჩნდა, იგი ტირილით მორბოდა და თან ძირს იხედებოდა, რაღაცას ეძებდა.

— რა გატირებს გოგონა? — ჰკითხა მას უცნობმა გამვლელმა.

— ფული დავკარგე, წიგნების საყიდელი ფული, — მიუგო გოგონამ და ტირილით გზა განაგრძო.

ნუგზარი მიხვდა: ის ფული, რომელიც მას ედო ჯიბეში, ამ პატარა, თეთრბანტიანი გოგონასი იქნებოდა.

— მივცე ფული თუ არ მივცე? ვნახე, ხომ არ მომიპარავს! — ფიქრობდა ნუგზარი და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. გოგონა კი ეძებდა დაკარგულ ფულს. როცა ნუგზარს გაუსწორდა, ნუგზარი შეჩერდა და შეეკითხა.

— ფული დაკარგე?

— ჰო, დავ...კარ...გე!.. — ზლუქუნით წარმოსთქვა მან.

— რამდენი?

— სამი თუ...მა...ნი.

— სამი არ ვიცი და მე ეს ერთი ფული ვნახე, — სთქვა ნუგზარმა და გოგონას წითელი ფული გაუწოდა.

— ჰო, ეს არის ჩემი ფული... ეს არის, — სიხარულით წამოიძახა გოგონამ.

— შენ ხომ სთქვი სამი თუმანი დავკარგეო? — შეყოყმანდა ნუგზარი.

— ჰო და, ეგ ფული სამთუმნიანია, — მიუგო გოგონამ და ნუგზარის მიერ მიწოდებულ წითელ ფულს ხელი მაგრად ჩასჭიდა.

კ. გოგიაშვილი

---

## ჩემო ბები

ჩემო კარგო დიდო ბები,
თვალში ველარ იხედები;
ვერ დადიხარ, გზას ვერ იგნებ
და ზღაპარსაც ვერ გვიყვები.

აბა ნახე, მე სულ მალე
დიდზე დიდი გავიზრდები,
მკურნალობას შევისწავლი
და მოგივლი ჩემო ბები!

ნიკოლოზ ჩაჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპილოს წერილი ოქტომბრელებს

გავიგე, თქვენ გიყვართ ცხოველების ცხოვრების ამბავი და აი, ამიტომ გწერთ.

გთხოვთ, კურადღებით წაიკითხოთ.

ჩვენ ვცხოვრობთ თქვენგან ძალიან შორს — ცხელ აფრიკაში. აქ მაიმუნები და თუთიყუშებიც ცხოვრობენ. ისინი მხოლოდ ხეებზე ბუდობენ, ჩვენ-კი დედამიწაზე ვიმეფებით.

ჩვენი ყველას ეშინია: მაიმუნებს, ჰიპოპოტამებს, მარტორქებს და ვეფხვებსაც კი, იმიტომ, რომ სპილოები ძალიან დიდრონი და ლონიერი ოთხფეხი ცხოველები ვართ.

გეკუთვნის ჯოგად ცხოვრება. ჩემ ჯოგში ოცამდე სპილოა. მე თვითონ ამ ჯოგის დედა და წინამძღოლი ვარ. ვყავს ორი თეთრი ეშვი მაქვს და ვისაც ამოვკრავ, ცოცხალი ვერ გადაპარჩება, თუმცა ჩვენ ლამპიერი ცხოველები ვართ და იშვიათად გვებრაზდებიან ხოლმე. ყოველთვის ვცდილობთ, შშვიდობიანად მოვიგერიოთ მტრები. თავიდან მაიმუნებს კი, როდესაც ხითხითით დაცინვას დაგვიწყებ[illegible] გრძელი ხორთუმით შიდრევანივით მივუშვებთ წყალს და [illegible]ენდა ნახოთ, რა თავისმტერეთ გარბიან, სასაცილოდ ხტ[illegible]ან ხიდან ხეზე.

ჩვენ არავის არ ვეშტერ[illegible]ით, არც ფრინველებს, არც ცხოველებს. ჩვენს უზარმაზარ [illegible]ტყეში ყველა დაკეტილია. ბალახი, ბანანი, ბუჩქების ყლ[illegible]ტები და ფოთლები გვყოფნის საკმელად. დილა-საღამოობით [illegible]ივდიგართ წყლის დასალევად ბილიკით. ეს ბილიკი ჩვენ [illegible]თონ გავტეკეთ. უზარმაზარი ხეები ამოთხარეთ ძირიან-ფ[illegible]ანად და აქეთ-იქით გადაეყარეთ. ჯოგები, ლიანები და [illegible]ალბარდი დაბეგრეთ ჩვენი ლონიერი, სქელი ფეხებით [illegible] დაგდიგართ ბილიკზე ყოველთვის არხეინად. წინ, რასაკვირ[illegible]ლია, მე მიგუძღვები, როგორც დედა. უხუცესი და უფრო [illegible]ოცდილი. ჩვენი ჰატარა შვილები დედების მუცელქვეშ [illegible]ფარულნი მიარბიან, რომ სისხლისმსმელი ვეფხვი, ან ჰ[illegible] არ მიეპაროს და არ მოტაცოს, ან კიდევ უზრდელმა [illegible]ამუნმა ჭკვიანი მძიმე ქოქოსი არ მოარტყას და არ დაა[illegible]ოს.

ღიღ, ჩვენ არავისი არ გ[illegible]ინია, შეგვიძლია შევებრძოლოთ და ვაჯობოთ ლომსაც[illegible], მაგრამ ორგვა ადამიანი ეშმაკობით გვჯობნის. ამოთხრ[illegible] ტყეში დიდ ორმოს, გადახურავს მას ფოთლიანი ტოტები[illegible] ან ხავსით და ვარდება შიგ საბრალო ახალგაზრდა, გამო[illegible]ეული სპილო-პაპაშვი.

წაიყვანს შინ ადამიანი ა[illegible]ზრდა სპილოს, ზრდის და თავის სასარგებლოდ ამუშავ[illegible]. ზოგსაც ჯაჭვის სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც სპილოები [illegible] უნახავთ. ასე გვითხრა ჩვენ ერთმა, ძალიან ბებერმა სპილ[illegible], რომელიც ასორმოცდაათ წელს ეშსახურებოდა ადამიან[illegible] და, როდესაც მეტი მუშაობა ალარ შეეძლო, ტყეში გამოა[illegible].

საკმაოდ ლამაზი ცხოველ[illegible] ვართ სპილოები, მოკისფრონაცრისფერისა, ზურგი ლამ[illegible] გვაქვს ამოზნექილი, ვდგევართ მაღალ, ლონიერ ფეხებ[illegible]. მართალია, თვალები ცოტა არ იყოს წვრილი გვაქვს, [illegible]მაგიერად თავს გვიშვენებს გრძელი, მოქნილი ხორთუ[illegible] ლამაზი ეშვები და, სავსე მთვარესავით გადმოშლილი, [illegible]ითო ყურები, ისეთი მახვილი სმენისა, რომ სულ ჰაწია ჩიტ[illegible]ს ფაფუნიც კი არ გამოგვეპარება ტყეში.

ახლა მინდა ერთ რამეში [illegible]მოგიტყდეთ, მეგობრებო, და კი არ გაგეცინოთ. მართალ[illegible] სპილოები მეტად ძლიერი ცხოველები ვართ, მაგრამ გვაშინებს პატარა, უშნო ღრეტეანი ცხოველი ღორი.

ღორები ჩვენ ტყეში ბლომად დაებეტებიან და, როდესაც ისინი ჯოგი შეგვხვდება, ჩვენ, სამარცხვინოდ, გადვუხვევთ და გზას ვუთმობთ. მაინ მაგარი, ბასრი ეშვები აქვთ და გვეშინია, ფეხები არ დაგვიზიანონ.

ოჰ, როგორ ხითხითებენ მაშინ მასხარა მაიმუნები და ყურებენ საძაგელი თუთიყუშები. რასაკვირველია, ამ დროს ისინი მაღალ ხეებზე სხედან, თორემ რას გაბედავენ!

მაიმუნები ამბობენ, რომ ადამიანების აზრით თითქოს სპილოები ღორების მონათესავე ცხოველები ვართ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯერა. ამიტომ გიგზავნით ჩვენს სურათს. გთხოვთ, ნამდვილად შეიტყოთ, მართლა მიმსგავსია ადამიანებს ღორების მონათესავე ცხოველებად სპილოები, თუ მასხარა მაიმუნებმა გამოიგონეს ჩვენს გასაჯავრებლად?

ნახატები ფ. ლაპიაშვილისა

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლოწასოლოობა

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

რვა წლის ბიჭი ვიყავი. მზესუმზირა მომწყინდა. ოთახში შევირბინე, რომ დედისთვის ფული მეთხოვნა. დედა ოთახში არ დამხვდა. მაგიდაზე სურდა ფული ეყარა. მე არ დავფიქრებულვარ და რამდენიმე წვრილი ფული ავიღე, სტუნაობით ქუჩაში ბაბუა ივანესაკენ გავექანე მზესუმზირას საყიდლად.

მალე ეზოში მზესუმზირას შევექცეოდი. ამ დროს მამაჩემი წამომადგა თავზე.

— ვინ მოგცა მზესუმზირა?— მკითხა მან. მას არ მოსწონდა, მზესუმზირას ჩენჩოს რომ ვერიდი პირიდან.

— დედამ...—ვთქვი შემკრთალმა. —დედამ კი არა,—გამოგასწორე ნათქვამი,—მაგიდაზე ფული იდო და ავიღე.

—დაუკითხავად?—შემეკითხა მამაჩემი.

პასუხი ვერ გავეცი. მივხვდი, რომ დავაშავე.

ნაწყენი მამა უსიტყვოდ გამშორდა... მე გაქვავებულივით ერთ ადგილას ვიდექი. შეცდომა უნდა გამომესწორებინა. როგორ?

ნელა ეზოდან გავედი. თავს ვიკავებდი, მაგრამ თვალზე ცრემლი მაინც მომადგა. გაუბედავად მივედი მზესუმზირას გამყიდველ ბაბუა ივანესთან და წინ გავუჩერდი. სიტყვის ამოღება ვერ მოვახერხე. იგი გაკვირვებული მიცქერდა.

— რა მოგივიდა, ბიჭუნა?— მკითხა.

— მამას ეწყინა... მზესუმზირა რომ ვიყიდე...—ვთქვი სლუკუნით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რატომ, ბაბუ?—არ მეშვებოდა გულკეთილი მოხუცი.

სომ ვერ ვეტეოდი, რომ ფული დედის დაუკითხავად ავიღე, ენა ჩამივარდა, ცრემლები ღაპა-ღუპით წამომივიდა.

მზესუმზირა ჯიბიდან ამოვკრიფე და მოხუცს წინ დავუყარე.

— ცოტა შეეჯამე...—და ხმამაღლა ტირილი მოვრთე.

მოხუცმა ფული უსიტყვოდ დამიბრუნა.

ძლიერ შემიყვარდა ეს მოხუცი.

ამის შემდეგ მშობლების დაუკითხავად შინიდან ფული არ წამიღია.

**ირაოლი ქავქავარაძე**

ნახატები შ. მაყაშვილისა

## პატარა ჩიორა

ჩიტის სახელი დამარქვეს,
ჩიტიც ვარ გულით ჩვილითა;
ეველაზე გვიან ვიძინებ
და ადრე ვდგები დილითა.

მამის კარადას მივაგენ
საგსებს ლამაზი წიგნებით,
დავჯდები, გადავიკითხავ,
როცა მოწაფე ვიქნები.

ახლა თოჯინა მომეცით,
ახლა თამაში მაკმარეთ;
მაგისთვის ვერარ მოვიცლი,
სკოლაში რომ მიმბარებთ!

**ანდრო თევზაძე**

ნახატი შალვა ცხადაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცაგოს დანაშაული

მოთხრობა

პატარა ცაგომ მაგიდაზე დადებული საათი აიღო, გულდასმით დაათვალიერა, მერე მოსამართს მოჰკიდა ხელი და მაგრად შეატრიალა.

ტკაპ! — მოისმა უცებ. ცაგო შეკრთა. საათი ყურთან მიიტანა, მაგრამ იგი ალარ მუშაობდა. ცაგო გაფითრდა, მაგრამ არ დაიბნა, საათი ისევ მაგიდაზე დადო. ცალი თვალით მეორე ოთახში მჯდომ მამას გადახედა და გარეთ გაიპარა.

ცოტა ხნის შემდეგ, ცაგოს ეფროსი და, თინა, შემოცუნცულდა სახლში, მაგიდას მიუახლოვდა და მანაც საათისაკენ წაიღო ხელი. სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდან მამა გამოვიდა, უნდოდა გაეგო, რა დრო იყო, მაგრამ ხელში გატეხილი საათი შერჩა. უეცრად გაბრაზებულმა თინას დაუყვირა:

— რად გატეხე საათი?

— არა, მამა, მე არ გამიტეხია... — ალუღლუღდა საწყალი თინა.

— მაშ ვინ გატეხა?

— არ ვიცი...

— შენ გეჭირა ხელში და სხვა ვინ გატეხდა. — კვლავ დაიყვირა მამამ და ცალი ხელი ზევით ასწია.

გაიგონა თუ არა მამის ყვირილი ცაგომ, სახლის კარებთან მიიჭრა, ჩუმად დაუწყო ჭვრეტა გაფითრებულ თინას. შეეცოდა, რომ უდანაშაულოდ ტუქსავდნენ საყვარელ დას. ყრთხანს თავი შეიკავა, მაგრამ როცა თინას ცრემლებით აევსო თვალები, ველარ მოითმინა, თამამად შევიდა სახლში და მამას უთხრა:

— მე... მე გამიტყდა საათი, მამა... თინიკო არაა დამნაშავე.

თინა სიხარულით გადაეხვია ძმას, მამამ კი აპატია თავის ვაჟს დანაშაული, მაგრამ იმ პირობით, რომ არასოდეს ჩაიდენდა დანაშაულს.

მიხეილ ლეჟავა

ნახატები ნათელა იანქოშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციალას ფისო



### მოკითხრობა

ბავშვთა საავადმყოფოს გვერდით ცხოვრობდა პატარა ციალა. ის ხშირად ხედავდა, რომ საავადმყოფოში, ზოგს ფეხით და ზოგს კი ეტლით, შეფუთნული ბავშვები მოჰყავდათ განსაკურნავად. ციალას პატარა ფისი ჰყავდა მეტად ლამაზი და მოუსვენარი. კნუტი მუდამ ხალისიანად ეთამაშებოდა გოგონას. ოთახში ყოველ დღე ისეთი სიცილ-ხარხარი ისმოდა, რომ დიდებიც სიამოვნებით უყურებდნენ მათ თამაშს.

ზოგჯერ გოგონა ძაფზე გაბმულ ქაღალდს ფისოს ცხვირწინ გაუქან-გამოუქანავებდა და მაშინ ხომ კნუტი მთლად ირეოდა. თვალებდაჭყეტილი ფისო შორიდან გამოქანდებოდა და სულ მალაყს გადადიოდა, მაგრამ თუ ოთახში ამ დროს ბროლივით თეთრი პატარა ძაღლი შემოვარდებოდა—აი ნამდვილი ჯამბაზობა სწორედ მაშინ ჩაღდებოდა. ეს კნუტი და ძაღლი ერთმანეთთან ისე იყვნენ შეჩვეულნი, რომ როცა კნუტს გარედ გამოაგდებდნენ, ის კარებთან მწოლ ბროლიას დაუწყებდა გაშლილი თათებით თამაშს, მაგრამ ისეთი სიფრთხილით, ისეთი მოკრძალებით, რომ ერთხელაც არ დაუკაწრია. ბროლია კი დროს იხელთებდა თუ არა, იმ წამსვე კისერში ეძგერებოდა, მაღლა აიტაცებდა და აქეთ-იქით დაატარებდა.

ერთხელ, თამაშობის დროს, ბროლიამ, გადამეტებული ხუმრობით, ფისოს რაღაცა ატკინა. კატა აიბუძგა, მზიან ფანჯარასთან მიჯდა და აღარ თამაშობდა. არც საჭმელი მიურთმევია. საბავშვო ბალიდან დაბრუნებულ ციალას კატა რომ უგუნებოდ დაუხვდა, იფიქრა: ფისო ავად არისო.

— ნუ გეშინიან, გენაცვალე, ეხლავე მოგარჩენ, ჩემო ფისო!—მიუალერსა გოგონამ. ფისო გულზე მიიხუტა, დედოფალას საბანი ფრთხილად შემოახვია, კარი გააღო და, უფროსების შეუმჩნევლად, საავადმყოფოსაკენ წავიდა. დაფიქრებული მიდიოდა თეთრბანტიანი გოგონა პატარა ქოლგით ხელში და თავისი ავადმყოფი ფისო მიყავდა.

საავადმყოფოს სადარბაზო კარი ღია იყო, მაგრამ იმ არემარეზე არავინ სჩანდა. გოგონა შორიახლო უხერხულად აიტუზა. არ იცოდა, რა ექნა, ვისთვის ჩაებარებინა საყვარელი ავადმყოფი. ფისოს საბნიდან თუმცა თავი უჩანდა, მაგრამ საბანში გახვევა მაინც არ მოსწონდა და საცოდავად კნაოდა.

სად იყო-სად არა, საავადმყოფოს კეზოს კართან დარაჯის ძაღლი გამოვარდა. ციალას ძლიერ შეეშინდა და უკან დაიხია. მაგრამ ფისოს კი ისე ძლიერ აუფანცქალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გული, რომ სწრაფად ისკუპა და პირდაპირ საავადმყოფოში შევარდა. ძალლიც თან ყეფით შეჰყვა და ხელცარიელი ციალა ატირდა.

ამ დროს საავადმყოფოდან თეთრწინსაფრიანი ექიმი გამოვიდა, ატირებულ ბავშვთან მივიდა და ჰკითხა:

— აქ რა გინდა გოგონა? ხომ არავინა გყავს საავადმყოფოში?!

ციალამ ტირილით უთხრა:

— ჩემი ფისო მოვიყვანე, ავად არის, ძაღლმა შეაშინა და გამექცა.

— მერე რა იქნა?!

— აგერ, იქ შევარდა!—უფრო ძლიერ ატირდა ციალა და საავადმყოფოს კარებზე მიუთითა. ექიმს სიცილი აუტყდა და დაყვავებით უთხრა:

— თუ გაიქცა, მაშ ის ავად არ ყოფილა, თორემ განა ავადმყოფს გაქცევა შეუძლიან?

ამ სიტყვებზე ციალამ თვალები ფართოდ გააღო და სახე გაუბრწყინდა.

— მაშ ფისო ავად არ იყო?—სიხარულით შეეკითხა ციალა.

— რასაკვირველია არა. ახლა შინ წადი, გოგონა, გული დაიმშვიდე, შენი ფისო არ დაიკარგება.

გახარებულმა ციალამ ექიმს მადლობა უთხრა და შინისაკენ მოჰკურცხლა. მალალი კიბე აირბინა და რას ხედავს!

მისი ფისო გამოკეტილ კარებს მისდგომოდა და თათით აფხაჭუნებდა—ჩქარა გამიღეთო.

— უი, ჩემი ფისო, მართლაც არ დაკარგულა!—წამოიძახა გოგონამ და, სიხარულით აღტაცებულმა, კატა გულზე მიიხუტა.

**ცქვიტი**

ნახატი ვ. ერისთავისა

# ჩ ი ნ გ ი ზ ი

ჯერ ყველას სძინავს, ღამეა,
კარს ადევს რკინის ურდული,
საიდან გაჩნდა მერცხალი,
საიდან ისმის ჟღურტული?!

იქნება მტრედი ღულუნებს,
ან ცეცხლს გაუდის გიზგიზი?
არა, აკვანში ლულლულებს
ჩემი პატარა ჩინგიზი.

ხან მელა გაუგორდება,*)
ხან მზეს და მთვარეს ასძახებს,
ამირანივით დაბმული
ბორგავს და ებრძვის არტახებს.

ვიწრო თვალებით მიცინის,
მრისხანე, დედის ხატება,
რძით სავსე ძუძუს დაეძებს,
თვალს დაჰკრავს, გაეხარდება.

დაბღუჯავს, სავსეს გამოცლის,
არ გააგონოთ ნაკლული,
მერე მთვრალივით მიყურებს,
ხელებით ძუძუს ჩაკრული.

თვალიდან ნაპერწკლებსა ჰყრის,
ტუჩზე დედის რძე აშრება,
ჩემი პატარა ჩინგიზი
ვარსკვლავებს ეთამაშება!

**გრიგოლ აბაშიძე**

*) ჩვილი რომ იცინის, იტყვიან, გულზე მელა გაუგორდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობოლი ბაჭია

### მოთხრობა

ტყიდან, ვიწრო ბილიკით, მინდორზე ბაჭია გამოცანცალდა. დამფრთხალს ჰგავდა, ნაცარა იყო და მკერდზე თეთრი ხალი ჰქონდა. უცებ განზე გაუხვია, პატარა კორდზე შეხტა და შეჩერდა. ფრთხილად მოავლო თვალი გარემოს. ირგვლივ ყველაფერი ეუცხოვა. უნდოდა ტყეში შებრუნება, მაგრამ მინდვრის სიწყნარემ გაათამამა და თავი შეიკავა.

არ იცოდა საით წასულიყო. იგი ტყეში იყო შობილი და მინდორს პირველად ხედავდა. დედა მონადირემ მოუკლა და, უპატრონოდ დარჩენილი, შიმშილმა შეაწუხა, თორემ ტყიდან ასე პატარა არ გამოვიდოდა.

— ჰე, რა ბედნიერი ვყოფილვარ, დედა რომ ცოცხალი მყავდა! — თავისთავს შესჩივლა ბაჭიამ. — რა შეორჩეული საჭმელი მოჰქონდა, საცოდავს, ჩემთვის! მე კი მუდამ ვიწუნებდი მის მოტანილ კომბოსტოს.

ბაჭიამ ფეხზე დაიხედა, თათი ეკალს გაეკაწრა და სისხლი სდიოდა. დაღონებულმა მაინც გზა განაგრძო.

დიდხანს იხეტიალა, გასაძლომად ვერსად ვერაფერი იშოვნა. ბოლოს ერთ ბოსტანს მიაგნო და შიგ შეიპარა. ის იყო: კომბოსტოსათვის პირი უნდა წაევლო, რომ ბოსტნის პატრონმა დაუცაცხანა. შეშინებულმა ბაჭიამ ტყისკენ მოჰკურცხლა. დიდიხნის სირბილის შემდეგ, გულაძგერებულმა, სოროს შეაფარა თავი. როცა სული მოითქვა და შეატყო ხიფათს იყო გადარჩენილი, ამოიოხრა:

— რა ცუდია ობლობა! რა მამაცი და გამრჯე ყოფილა დედაჩემი! იგი თავისთვისაც და ჩემთვისაც უხვად შოულობდა საზრდოს!

დაღონებულ ბაჭიას თვალზე ცრემლი მოადგა და, დედის მზრუნველობას მონატრებული, სოროდან უნუგეშოდ იხედებოდა.

**გ. ლალიძე**

ნახატი აპოლონ ავალიანისა

---

## პაწაწინა ლექსები

### პ ე პ ე ლ ა

ჰეჰელა ვარდს დაჰფარფატებს,
რა ლამაზი, ჭრელია!
ნუნუ დასდევს დასაჭერად,
ვედარ დაუჭერია!

### ეთეროიკო და ყეჩა

— რას აკეთებ ეურშა?!
— ქოერიკოს ბურს ვჭამ!
— სთქვი, ბური სად იდო?!
— თითონ გადმოიგდო!

**ილია სარხარულიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ციყვი

ციყვი პატარა ნადირია. ცხოვრობს ტყეში და მარდად დაცოცავს ხეებზე. ძალიან ეხერხება ტოტიდან ტოტზე გადახტომაც. ამ საქმეში ხელს უწყობს ჯონჯოლა კუდი, რომელსაც პარაშუტივით იყენებს.

ციყვი სამ-ოთხ ბინას იკეთებს სხვადასხვა ადგილას. ერთი ბინა თუ მიუგნეს, მეორე მზად აქვს და უბინადრო არ დარჩება.

ციყვი საზრდოსაც იმარაგებს — აგროვებს სოკოებს და ბინის მახლობლად ჩამოაცმევს ჩხირებზე და ქაცვებზე. ზოგჯერ თაგვებსაც და ჩიტის ბარტყებსაც ასე ექცევა.

შემოდგომაზე კი ფუღუროში აგროვებს კაკალს, თხილს, რკოს და წიწიბოს. ამიტომ ზამთარში საზრდო არ გამოელევა.

პერმენ ჭანიშვილი

ნახატი აპოლონ ავალიანისა

---

# ვეშაპი

ყველაზე დიდი ცხოველი, რომელიც ახლაც არსებობს, არის ლურჯი ვეშაპი. იგი ზღვის სიღრმეში ცხოვრობს. მისი შედარება რომელიმე ცხოველთან შეუძლებელია. თვით უდიდესი სპილოც მასთან ძალიან პატარა სჩანს.

შესაძლებელი რომ იყოს ისეთი სასწორის აგება, რომლის ერთ ლამბაქზე ვეშაპი დაეტეოდეს, წონასწორობის დაცვისათვის საჭიროა მეორე მხარის ლამბაქზე დავაყენოთ 35—40 სპილო.

ვეშაპი სიგრძით 30 მეტრია, ხოლო წონით 150 ტონა. ასეთი ვეშაპისაგან მონადირეებმა მიიღეს სამოცდათასი კილოგრამი ხორცი, ოცდაათიათასი კილოგრამი ქონი. ამ ვეშაპის ენა სამნახევარ ტონას იწონიდა, ხოლო თირკმელები ერთ ტონაზე მეტს.

ახლად დაბადებული პატარა ვეშაპი 7—8 მეტრის სიგრძისაა და იწონის ორ ტონას. ყოველდღიურად იგი იმატებს ას კილოგრამს და უკვე შვიდი-რვა თვის ვეშაპი ოცდათხ ტონას იწონის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფანქრის ერთი მოსმით...

დახაზეთ ფანქრის ერთი მოსმით ეს ნახაზი ისე, რომ ორჯერ არ გაატაროთ ერთი-და-იგივე ხაზი.



## პასუხები

1946 წ. № 1-ში მოთავსებულ გამოცანებზე

1 ყაყაჩო. 2. თხა. 3. ჩრდილი.

## თავსატეხი

ამ კვადრატში თექვსმეტი უჯრედია. გაჰყავით კვადრატი ხუთ ნაწილად ისე, რომ თვითეულ მათგანში მოხვდეს ლორი და ორი გოჟი.



## რებუსი

## გამოცანები

(შედგენილი გრ. ცეცხლაძის მიერ)

1.

კარგ ამინდში დაგვდევს ყველას,
არ სჭირდება გზა და ბინა.
მზეს რომ ზურგი შევაქციოთ,
დაეცემა ის ჩვენს წინა.

2.

მოედანზე ერთი რამე
ფრინავს და ჰქმნის აურ-ზაურს,
არც თავი აქვს, არცა კუდი,
არც ფრთები აქვს იმ უცნაურს,
არც სისხლი სდის, არცა ცრემლი,
თუმც ურტყამენ ფეხს და თაურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18/34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის № 43 სტამბის შეკვ. № 641 ტირაჟი 7300 უე 01790 ფასი 5 მან.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავშირის მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.